სამოქალაქო საზოგადოება

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №7, 2023 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – **„მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“** ფარგლებში. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი.**

გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

პროექტის გუნდი.

საპარლამენტო არჩევნები საქართველოში

წყარო: ვიკიპედია – https://bit.ly/46QmlGK; რადიო თავისუფლება, საპარლამენტო არჩევნების ისტორია საქართველოში – https://bit.ly/3O9UIRR; საქართველოს არჩევნების ისტორია 1990 – 2018 – https://bit.ly/3NZnu6t

პირველი საყოველთაო, შეუზღუდავი, დემოკრატიული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები

1990 წელი

ვადა – 1990-1995 წ.წ.
ბარიერი – 4%
სულ დეპუტატების რაოდენობა – 250 დეპუტატი
თავმჯდომარე – ზვიად გამსახურდია, აკაკი ასათიანი, ბოლოს ფაქტობრივად ნემო ბურჭულაძე, რადგან ა. ასათიანს გადადგომაზე განცხადება ჰქონდა დაწერილი.
უმრავლესობა – მრგვალი მაგიდა – 155 დეპუტატი
(1992 წლის იანვარში დაითხოვა სამხედრო საბჭომ)
ამომრჩეველთა აქტივობა – 69,88%



საქართველოში ეს იყო, საბჭოთა სივრცეში ჩატარებული, პირველი თავისუფალი საპარლამენტო არჩევნები 1919 წლის შემდეგ. პირველმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა დამოუკიდებლობამდე მიგვიყვანა, მაგრამ კომუნისტურმა რეჟიმმა მოახერხა და უკვე არჩევნებამდე ორად გახლიჩა ეროვნული მოძრაობა: საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე შეიქმნა ეროვნული კონგრესი, არჩეული 200 დეპუტატით. დაპირისპირების მიზეზი - კონგრესი საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად საბჭოთა კავშირის სისტემაში არჩევნებს არ განიხილავდა...

მიუხედავად ამისა, არჩევნების მომხრეებმა, რომლებიც ძირითადად გაერთიანდნენ საარჩევნო ბლოკში „მრგვალი მაგიდა“, მიაღწიეს საარჩევნო კანონის ცვლილებებს, მრავალპარტიულ არჩევნებსა და უთანაბრო სასტარტო პირობებში, მოსახლეობის სრული მხარდაჭერით დაამარცხეს კომუნისტური რეჟიმი.

1990 წელს არჩეულ უზენაეს საბჭოს შემდგომში ეწოდა პირველი მოწვევის პარლამენტი.

საბჭოს საარჩევნო ბარიერი იყო 4%. იგი გადალახა ორმა სუბიექტმა: ბლოკმა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“- 53,99% ; კომუნისტური პარტია - 29,58%. მათ გადაინაწილეს 125 მანდატი. დანარჩენი 125 დეპუტატი, პარლამენტში შევიდა მაჟორიტარული სისტემით. საბოლოოდ, „მრგვალი მაგიდა“ 250-დან 155 მანდატს ფლობდა.

დაიწყო საბჭოთა კავშირის რღვევა, **საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა...**

5 წლით არჩეულმა პირველმა პარლამენტმა (უზენაესმა საბჭომ), რომლის საარჩევნო პროცესი ყველაზე გამჭვირვალედ და სანდოდ შეფასდა, წელიწადნახევარი იარსება. ეროვნულ ძალებს შორის დაპირისპირებას მოჰყვა სამოქალაქო ომი, პრეზიდენტის განდევნა, კანონიერი ხელისუფლების დამხობა, კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება, უზენაესი საბჭოს დათხოვნა და სამხედრო საბჭოს მმართველობა.

ყველაზე მრავალპარტიული, II მოწვევის პარლამენტი (უმაღლესი საბჭო)

1992 წელი

ვადა – 1992-1995 წ.წ.
ბარიერი – 2%
სულ დეპუტატების რაოდენობა – 235 დეპუტატი
თავმჯდომარე – ედუარდ შევარდნაძე
ამომრჩეველთა აქტივობა – 74,2%

სამოქალაქო ომით, აფხაზეთსა და ოსეთში სამხედრო კონფლიქტებით გაჩანაგებულ ქვეყანას არალეგიტიმური სამხედრო საბჭოს ნაცვლად სჭირდებოდა დემოკრატიულად არჩეული და ლეგიტიმურად დაკომპლექტებული ხელისუფლება – მოქალაქეთა წინაშეც და საერთაშორისო ასპარეზზეც. საქართველოს რესპუბლიკა, ჯერ არც საერთაშორისო საზოგადოების სრულუფლებიანი წარმომადგენელი გახლდათ და არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გამხდარიყო.

1992 წლის საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპარლამენტო არჩევნებამდე საქართველოს რესპუბლიკამ აღადგინა 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც ხელისუფლების მთავარ შტოდ საკანონმდებლო ორგანოს მიიჩნევდა. **საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა გახდა.**

სულ არსებობდა კენჭისყრის ჩაშლის საფრთხე, სარჩევნო პროცესებში იყო დარღვევები, უნდობლობა, დეპოლარიზაცია...

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 31-მა პარტიამ და 5-მა საარჩევნო ბლოკმა, საქართველოს ისტორიაში ყველაზე დაბალი, 2%-იანი ბარიერი გადალახა 24-მა პოლიტიკურმა სუბიექტმა. პარლამენტის თავმჯდომარისა და შემდგომში პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის დასაყრდენი ძალა იყო ბლოკი „მშვიდობა“, რომელიც ინტელიგენციას აერთიანებდა. პარლამენტის სპიკერი იყო ვახტანგ გოგუაძე.

უცხოელი დამკვირვებლების მიერ არჩევნები დამაკმაყოფილებლად შეფასდა, მიუხედავად იმისა, რომ სატელევიზიო არხები მიკერძოებული იყო შევარდნაძის სასარგებლოდ, აღინიშნებოდა პროცედურული დარღვევები და ოპოზიციური გაზეთების დაშინების მცდელობები.

ამ წლებში საარჩევნო ბარიერი გაიზარდა 2 %-დან 5 %-მდე, ხოლო პარლამენტის შემადგენლობა განისაზღვრა 235 დეპუტატით.

დაიკარგა აფხაზეთი, გაჩნდნენ დევნილები, საქართველო გახდა დსთ-ს წევრი, შენარჩუნდა დაპირისპირება საზოგადოებაში და პარტიებს შორის. ამავე პერიოდში იყო ზვიად გამსახურდიას საეჭვო ვითარებაში სიკვდილი, გია ჭანტურიას, ოპოზიციური, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის მკვლელობა, კრიმინალის ზრდა, ეკონომიკის ვარდნა, ქაოსი... 1995 წელს შევარდნაძეზე მოეწყო ტერაქტი, რომელსაც უვნებელი გადაურჩა.

III მოწვევის, „ჟვანიას პარლამენტი“

1995 წელი

ვადა – 1995-1999 წ.წ.
ბარიერი – 5%
სულ დეპუტატების რაოდენობა – 235 დეპუტატი
თავმჯდომარე – ზურაბ ჟვანია
ამომრჩეველთა აქტივობა – 68,2%

ახალი საარჩევნო კანონით ჩატარებულ არჩევნებში პარლამენტში მოსახვედრად აუცილებელი 5 %-იანი ბარიერი მხოლოდ სამმა პარტიამ გადალახა: საქართველოს მოქალაქეთა კავშირი 23.7%, ეროვნულ—დემოკრატიული პარტია 7.9%, აღორძინების კავშირი 6.8%. მაჟორიტარული სისტემით დეპუტატის მანდატები მოიპოვეს: დამოუკიდებელი კანდიდატები, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, აღორძინების კავშირი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

საარჩევნო პროცესებში, კამპანიაში, იყო დარღვევები მოქალაქეთა კავშირის სასარგებლოდ. არჩევნების საბოლოო შედეგები გამოქვეყნებისთანავე გააპროტესტა თითქმის ყველა იმ საარჩევნო სუბიექტმა, რომელმაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მოიპოვა, თუმცა, ცესკოს შემაჯამებელი ოქმის თანახმად, ბარიერი ვერ გადალახა. პოლიტიკოსების შეფასებით, ეს იყო ბოლო მრავალპოლუსიანი არჩევნები, სადაც ამომრჩევლის გულის მოგების შანსი რამდენიმე პარტიას ჰქონდა.

1995 წლიდან საქართველოს ეკონომიკამ გაჯანსაღება დაიწყო, რაც განაპირობა შედარებით სტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ომის დასრულებამ და 1995 წლის სექტემბერში განხორციელებულმა მონეტარულმა რეფორმამ (კუპონი შეცვალა ლარმა).

III მოწვევის პარლამენტმა მიიღო 650 კანონი, მათ შორის ახალი საარჩევნო კოდექსი, რომელმაც **პროპორციულ არჩევნებში მონაწილე პარტიებისთვის 7%-იანი საარჩევნო ბარიერი დააწესა, გააუქმა სიკვდილით დასჯა, მიიღო კანონი სახალხო დამცველის შესახებ, ქვეყანა საპრეზიდენტო სისტემაზე გადავიდა, საქართველო ხდება ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ასოცირებული წევრი;** 1999 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დაუჭირა მხარი საქართველოს გაწევრიანებას ევროპის საბჭოში. ზურაბ ჟვანიამ წარმოთქვა ისტორიული სიტყვა, რომელიც შემდეგი ფრაზით დაასრულა: **„მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი!“**

საპარლამენტო არჩევნები საქართველოში

IV მოწვევის პარლამენტი, დიდი და პატარა „ბაბუს“ არჩევნები

1999 წელი

ვადა – 1999-2003 წ.წ.
ბარიერი – 7%
სულ დეპუტატების რაოდენობა – 235 დეპუტატი
თავმჯდომარე – ზურაბ ჟვანია, გადადგა 2001 წელს, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში არსებული კორუფციის, შს მინისტრთან დაპირისპირებისა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე განხორციელებული თავდასხმის გამო, მემკვიდრე – ნინო ბურჯანაძე.
ამომრჩეველთა აქტივობა – 67,9%

არჩევნებში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი სახელისუფლებო პარტია - პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“ და აჭარის ლიდერის, ასლან აბაშიძის, ბლოკი „აღორძინება“. დაპირისპირება გასცდა პარტიებისა და პოლიტიკოსების დებატების ფარგლებს და ლამის ცენტრისა და რეგიონის დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ბარიერი გადალახა სამმა პოლიტიკურმა სუბიექტმა: საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, საარჩევნო ბლოკი „საქართველოს აღორძინება“, საარჩევნო ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“. სულ მაჟორიტარული და პროპორციული სისტემით პარლამენტში იყო 45 ბლოკისა და პარტიის წარმომადგენელი.

არჩევნებამდე სამი კვირით ადრე საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა 1 757 პატიმარი, რაც ამომრჩევლის მოსყიდვად შეაფასეს ოპონენტებმა. პოლიტიკურმა სუბიექტებმა არჩევნების შედეგები უზენაეს სასამართლოში ორჯერ გაასაჩივრეს. ძალიან გამწვავდა ორი სახელისუფლებო პარტიის - მოქალაქეთა კავშირისა და აღორძინების ურთიერთობა, იყო ფიზიკური დაპირისპირებაც.

აღორძინებას ბრალდებოდა ჰაკერული დანაშაულის მომზადება დაბალპროცენტიანი პარტიების ხმების მოსაპარად...

IV მოწვევის საქართველოს პარლამენტმა ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწვეტილება მიიღო 2004 წელს, როცა „ვარდების რევოლუციის“ გამო უფლებამოსილება გახანგრძლივებულმა პარლამენტმა მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო ცვლილებებს.

„1995 წლის კონსტიტუცია თუ

“შევარდნაძის თარგზე” გამოიჭრა, 2004 წლის თებერვალში რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ კონსტიტუციას უკვე რევოლუციის სამი ლიდერი ირგებდა“, **„ქვეყანა დიქტატურისკენ მიდის“ – ასე შეაფასა ეს ცვლილება არასამთავრობო სექტორმა.**

ამ ცვლილებების შემდეგ დაიკავა ზურაბ ჟვანიამ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, რასაც 1995 წლის კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა.

ორი მოწვევის პარლამენტი ერთ ვადაში

2003-2004 წელი

ვადა – 2003; 2004-2008 წ.წ.
ბარიერი – 7%
სულ დეპუტატების რაოდენობა – 235 დეპუტატი
თავმჯდომარე – ნინო ბურჯანაძე.
უმრავლესობა – ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები – 152 დეპუტატი
ამომრჩეველთა აქტივობა 2003 წელს – 60%
ამომრჩეველთა აქტივობა 2004 წელს – 64%

ქვეყანაში არსებულ მძიმე კრიმინოგენურ, სოციალურ ფონზე, ოპოზიციური ფლანგი შეივსო მმართველი პარტიიდან „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ გასული პოლიტიკური ლიდერების მიერ დაფუძნებული პარტიებითა და ბლოკებით. 2003 წლის არჩევნებში 18 სუბიექტი მონაწილეობდა, ოპოზიციას დაუპირისპირდა ორივე მმართველი პარტია – „აღორძინება” და „მოქალაქეთა კავშირი”, რომლებმაც, ცესკოს მიერ გამოცხადებული მონაცემებით, პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს.

ეუთოს სადამკვირვებლო მისიის შეფასებით არჩევნები არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. ქართველმა ანალიტიკოსებმა კენჭისყრა შეაფასეს, როგორც ყველაზე ბინძური და ქაოსური არჩევნები, რაც კი ოდესმე ჰქონია ქვეყანას. **„ვარდების რევოლუციამ” და პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომამ შეაჩერა 2 ნოემბრის არჩევნების შედეგად შეკრებილი მეხუთე მოწვევის პარლამეტის მუშაობა.** გაუქმდა საქართველოს პარლამენტის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული ნაწილის შედეგები, ხოლო მაჟორიტარული სისტემით გამართული არჩევნების შედეგები ძალაში დარჩა.

ჩამოყალიბდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი შემადგენლობა ზურაბ ჭიაბერაშვილის თავმჯდომარეობით.

ხელახალი არჩევნები გაიმართა 2004 წელს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. პრეზიდენტი გახდა მიხეილ სააკაშვილი. საპარლამენტო არჩევნებში აღარ მონაწილეობდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, ყოფილი მმართველი პარტია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 17 საარჩევნო სუბიექტი დაარეგისტრირა.

საარჩევნო ბარიერი გადალახა და მანდატები მოიპოვა ორმა სუბიექტმა: ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატები — 66.24%. ბლოკი „მემარჯვენე ოპოზიცია — მრეწველები, ახლები” - 7.56%. დანარჩენმა სუბიექტებმა მანდატები მიიღეს მაჟორიტარული სისტემით.

ცესკოს პარალელურად, ხმებს ითლიდა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები” და საერთაშორისო საზოგადოება (ISFED). „სამართლიანი არჩევნების” მაჩვენებლებმა ცესკოს თითქმის იდენტური შედეგები აჩვენა.

VI მოწვევის პარლამენტმა პირველივე წელს საქართველოს კონსტიტუციის 30-მდე მუხლში შეიტანა ცვლილებები: შემოღებულ იქნა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, შეიცვალა საქართველოს დროშა, საქართველოს ეროვნული გერბი და ჰიმნი, 235-დან 150-მდე შემცირდა საქართველოს პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობა.



პატარა, მტკიცე ნაბიჯებით დემოკრატიული საზოგადოებისაკენ

ამ ჩანართში მოცემულია საქართველოს 6 მოწვევის პარლამენტის ისტორია. პირველმა, რომელიც ჯერ კიდევ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩატარდა, წარმოუდგენელი შეძლო – ეს იყო მშვიდობიანი რევოლუცია, საქართველომ იმპერიის ჩარჩოები გაარღვია. მას შემდეგ 33 წელიწადი გავიდა, მაგრამ საქართველოს ასეთი რწმენით და იმედით ჩატარებული მეორე არჩევნები არ ახსოვს.

გაუგებარია, სანუკვარ დამოუკიდებლობამდე მისული ქართველები რამ გადაკიდა ერთმანეთს, ისე, რომ თბილისში სამოქალაქო ომი გაჩაღდა... მას შემდეგ, 1990-2003 წლების საარჩევნო პერიოდში, საქართველოში მმართველი ძალის ცვლილება, მხოლოდ საპროტესტო აქციებითა და რევოლუციით არის შესაძლებელი. ორი მოწვევის პარლამენტმა ვადა ვერ გაასრულა...

მიიჩნევა, რომ დემოკრატიულმა არჩევნებმა შეიძლება ხელი შეუწყოს სოციალურ ერთიანობას - მოქალაქეებს შორის ერთიანობისა და საერთო მიზნის განცდას. საარჩევნო პროცესში მონაწილეობამ შეიძლება განავითაროს კუთვნილების გრძნობა და გაზიარებული პასუხისმგებლობა ერის მომავალზე...

ამ საარჩევნო თარიღების უკან არის ჩვენი ქვეყნის ბევრი ტკივილი, გამარჯვება, შეცდომა... არის მხედრიონი, სამხედრო საბჭო, აფხაზეთის, ოსეთის დაკარგვა, უშუქობა, წლობით გაყინული ხელფასები, გაუფასურებული ფული... და საქართველოს სვლა დემოკრატიისაკენ. ჯერ კიდევ ბევრია გასავლელი.

შემდგომ ნომერში 2008-2020 წლების საარჩევნო ისტორიას სწორედ ამ კუთხით გადავხედოთ.

ჩანართი მომზადდა პროექტ „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია (National Endowment for Democracy) NED-ის მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს (National Endowment for Democracy) NED -ის პოზიციას.